ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
(ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №7-ის მიმდებარედ არსებული ტროტუარის ნაწილის)
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
ინდივიდუალური მეწარმე დავითი კოსტავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ---------- წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს დავით ერემეიშვილს, ინდივიდუალური მეწარმე დავითი კოსტავასათვის (პირადი №60001001133), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №7-ის მიმდებარედ არსებული ტროტუარის ნაწილის (ფართობი: 90,0 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.06.21.654) ათი წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 13.02.2020 წლის №69 ხელშეკრულებით გამარჯვებული ინდივიდუალური აუდიტორის, დავით რობაქიძის №001/4-4 დ.რ. 06.03.2020 წლის დასკვნის საფუძველზე, რომელიც 1.0 კვ.მ. ტროტუარის ნაწილისათვის შეადგენს 21.80 (ოცდაერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს, სულ 1 962,0 (ათას ცხრაას სამოცდაორი) ლარს.

მუხლი 3. ინდივიდუალური მეწარმე დავითი კოსტავამ (პირადი №60001001133) სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს ობიექტში ასასვლელი კიბისა და პანდუსის მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი